

1971/2



სამოღვარო ყველა კვეყნისა, გენერალი



საქართველოს საჭრო სოციალისტური რესაულიკის

შესრულებულ საზოგადო კონკურსი

Nº 11 (370)

1971 წლის 6 მაისის ათ

საქართველოს სსრ კარტოგრაფიულ სამსახურის

თავისუფალი

საქართველოს საგარეო სოციალისტური აკადემიკის

უბაღები საგარეო უნივერსიტეტი



№ 11 (370)

ნოემბერი

1971 წელი

ზ ი ნ ა რ ს ი

განყოფილება პირველი

185. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
186. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „აღგოლობრივი საპუნქტობის ომისარულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 24 დეკემბრის დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

განყოფილება მიორი

187. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი კუსტონერის კულტურის დღეების მონაწილეობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
188. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროცესორ ბ. ზ. უსტცანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
189. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამს. ა. ჩ. ასტრუროვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
190. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პორტ ვ. პ. გორგანელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
191. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამს. დ. ე. მარგალიტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.



172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ს. გ. ყიფიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაწილ-დობის შესახებ.

ପ୍ରକାଶନ ଓ ଅଧିକାରୀ ମହାନ୍ତିର

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობა

გაცემის გაცემის პირები

პრძნიშვნელება საქართველოს სსრ უმაღლესი საგვოს პრეზიდიუმი ადგენს:

185 საქართველოს სსრ უმაღლესი საგვოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საგვოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვევის იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერევ მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1971 წლის 8 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოჭანიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ჭ. ძვებპაშვილი.

თბილისი, 1971 წლის 10 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საგვოს პრეზიდიუმისა

**186 „ადგილობრივი საგვოვანის აღმართულებაზე კომიტეტის მი-
მართვის მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონის რეგის შესახებ“ სა-
ქართველოს სსრ უმაღლესი საგვოს პრეზიდიუმის 1969 წლის 24 დეკე-
მბრივ დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრო-
მელთა დაცუტატების აღილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა
გარკვეული ლონისძიებანი განახორციელეს მიღებულ გადაწყვეტილებათა კანო-
ნიერების დაცვის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
1969 წლის 24 დეკემბრის დადგენილების შესასრულებლად. ისინი პერიოდუ-
ლად ამოწმებენ ქვემდგომი საბჭოების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგა-
ნიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, დადგენილებების და განკა-
რგულებების კანონიერებას და ახორციელებენ შესაბამის ლონისძიებებს გამო-
ვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ჩაინიშნეთ და საქართველო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, პრო-
კურატურის ორგანოებთან ერთად, რეგულარულად ატარებენ თაბიკრ-სემინა-
რებს სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებზე მშრომელთა დეპუტა-
ტების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარებებისათვის,
მდივნებისათვის, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვა-
ნელებისათვის.

ამასთან ერთად გერ კიდევ ვხვდებით ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც
ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი მეტებს მისთვის მინიჭებულ უფ-
ლებებს, არღვევს შრომის კანონმდებლობას, კონსტიტუციით გარანტირებულ
მოქალაქეთა უფლებებს და ლებულობს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილე-
ბას.

თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა იმ მოქადაცებულის დაქვების მიმართ, რომლებიც არღვევენ სანიტარულ წესებს, 20 მანეთი გარემო დააწესა. ასევე დაგარიმების არასწორი წესი დაადგინა თელავის რაიონის წინანდლის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ აღმასკომის გადაწყვეტილებას სასმელი წყლით სარგებლობის წესების შესახებ.

ჩოხორწყუს რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებულმა აღმინისტრაციულმა კომისიმ სანალირო თოფების შენახვის წესის დარღვევისათვის 54 მოქალაქეს ჩამოართვა ისინი, მაგრამ თოფების რეალიზაციიდან მიღებული თანხა მათვის არ დაუბრუნებია. ანალოგიური დაღვნილება მიიღო ამბროლაურის რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებულმა აღმინისტრაციულმა კომისიამ სანალირო თოფების ჩამორთმევის შესახებ.

თელავის რაიონის რუსპირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის აწლის 10 ივნისის და ხაშურის რაიონის ხალების სასოფლო საბჭოს აღმასკომის 8 მაისის გადაწყვეტილებებით აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს დავალებული აქცი მოსახლეობაში სააგიტაციო მუშაობის გაშლა.

იმის გამო, რომ ცალკეული აღმასრულებელი კომიტეტი უყურადღებო ეკიდება კოლექტურნეობების გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების საქმიანობას, ადგილი აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების — „კოლექტურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ არაზუსტად შესრულებას. ნათესთა წანახედებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ახდენენ საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებთა გარეშე. გარდა ამისა პირუტყვის უმეთვალყურეობისათვის თვითნებურად აწესებენ გარმებს (თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის, უებორტის, ახალსოფლის, ჩეკურაანთვრისა და სხვა კოლექტურნეობები).

საბჭოების სესიები ზოგვერ ტარდება კანონის დარღვევით. მაგალითად, ბოლნისის რაიონის დარბაზის სასოფლო საბჭოს მიერ 1971 წლის 26 თებერვალს ჩატარებულ სესიაზე 51 დეპუტატიდან ესწრებოდა 31, ე. ი. ორ მესამედზე ნაკლები. ადგილი აქვს აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მუდმივი კომისების მიმართ დამავალდებულებელი გადაწყვეტილებების მიღების ფაქტებს.

აბაშის რაიონის მარნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით საბიუჯეტო-საფინანსო მუდმივი კომისიას დაევალა გააუმჯობესოს მუშაობა მესამე კვარტალის ფულადი გეგმის შესრულების უზრუნველყოფად. ასეთივე დარღვევებს ადგილი ჰქონდა ახმეტის რაიონის მატნის, გარდაბნის რაიონის ნორიოს, ხაშურის რაიონის გომის სასოფლო საბჭოების აღმასკომების და ზოვიერთი სხვა რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომებში.

არის ფაქტები, როდესაც სასოფლო საბჭოს სესიებზე იღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, ხაშურის რაიონის გომის სასოფლო საბჭოს სესიამ 1971 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით საყვედური გამოუცხადა პურის საცხობის გამგეს.

შერომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობაში არსებული დარღვევები გმირწვეულია იმით, რომ რაიონული საბჭოების აღმასკომები საქმარის კონტროლს ვერ უწევენ ქვემდგომი საბჭოებისა და მათ

ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სამართლებრივი მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას. ქალაქის და რაიონის ზოგიერთი პროცესუალურა ყოველთვის არ ახორციელდეს სათანა-ლო კონტროლს აღვილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლთა დეპუტატების საოლქო, რა-იონული, საქალაქო, სახოფლო და საღაბო საბჭოების აღმასკომებს:

ა) მიიღონ ზომები „აღვილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ მიღე-ბულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი ლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 24 დეკემბრის დადგენილების განუხრე-ლად შესრულებისათვის;

ბ) შეამოწმონ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმე-ურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიღებულ დადგენილებათა კანონიე-რება და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროცესუალურამ ქალაქისა და რაიო-ნის პროცესუალურის მეშვეობით გააძლიეროს ზედამხედველობა ხელისუფლების აღვილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა კანონი-ერებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქორენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კვაჩავი.

თბილისი, 1971 წლის 30 ნოემბერი.

განცოცილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საგაოს პრეზიდიუმის

187 საქართველოს სს რესპუბლიკაში ესტონეთის კულტურის დღე-ბის მონაცილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საგაოს პრეზი-დიუმის საპატიო დებალით დაჯილდოვის შესახებ

ესტონეთის კულტურის დღების საქართველოს სს რესპუბლიკაში წარ-მატებით ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

მხატვრული კოლექტივები:

1. ესტონეთის სსრ სახელმწიფო კადემიური ვაუთა გუნდი.
2. ესტონეთის სახელმწიფო ფილარმონიის სასულე კვინტეტი.

3. საესტრადო ანსამბლი „ლაინე“.
4. საესტრადო ანსამბლი „ვირუ“.
5. საესტრადო ანსამბლი „ბებერი ტომოასის მუსიკოსები“.
6. ესტრონეტის სახელმწიფო ფილარმონია.
7. ესტრონეტის სსრ სახელმწიფო სამსატვრო მუზეუმი.

ცალკეული მონაწილენი:

1. არნოლდ კარლის ქვერენი — ესტრონეტის სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-ჯდომარის მოადგილე.
2. ვილემ იოჰანის ქვეროვი — ესტრონეტის სსრ მწერალთა კავშირის გამ-გეობის მდივანი.
3. გუსტავ გუსტავის ქვერენესაკი — კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახა-ლხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი.
4. ლებორა იულიანის ასული ვარანდი — ესტრონეტის სსრ სახალხო მწე-რალი.
5. ალფრედ იანის ქვერენვი — სოციალისტური შრომის გმირი, ესტრო-ნეტის ქპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ტალინის მანქანათსაშენებელი ქა-რხნის მომწიმნევითი ბრიგადის ხელმძღვანელი.
6. უდო იუჰანესის ქვერენვი — ესტრონეტის სსრ ხელოვნების დამ-სახურებული მოღვაწე, სახელმწიფო აკადემიური თეატრ „ესტრონეტის“ მთავარი რეჟისორი.
7. ვაინო იოსიპის ქვერენასი — დელეგაციის ხელმძღვანელი, ესტრონეტის ქპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.
8. რაოულ ანტონის ქვერენასი — ესტრონეტის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე.
9. მარგარიტა არტურის ასული ვოიტესი — ესტრონეტის სსრ დამსახურე-ბული არტისტი.
10. რაიტ ვოლდემარის ქვერენა — ესტრონეტის სახელმწიფო ფილარმო-ნის დირექტორი.
11. კარელ კირილეს ქვერენა — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელ-მწიფო აკადემიური თეატრ „ვანემუნენს“ მთავარი რეჟისორი.
12. არნო არტურის ქვერენა — ბრიტანეთის კონონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, ესტრონეტის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი.
13. კალიო კარლის ქვერენა — ესტრონეტის სსრ ხელოვნების დამსახურე-ბული მოღვაწე.
14. ერი ედუარდის ქვერენა — სახელმწიფო აკადემიური თეატრ „ესტრო-ნეტის“ დირიჟორი.
15. იაან ოსკარის ქვერენა — ესტრონეტის სსრ ხელოვნების დამსახურებუ-ლი მოღვაწე, ესტრონეტის სსრ კომპოზიტორთა კავშირის პასუხისმგებელი მდი-ვანი.

16. პენდირი არსენის ძე კრუში — ესტონეთის სსრ დამსახურებული არტისტი.
17. ლიეტუა (ტიიტ) იაანის ძე კუუზიია — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.
18. ლეონპარდ ჰანსის ძე ლაკასი — ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების სექტორის გამგე.
19. ალბერტ იოპანესის ძე ლაუსი — ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრი.
20. ფელიქს იოპანესის ძე ლიივიყი — ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
21. ვამბოლა ბერნპარდის ძე მარკუსი — ესტონეთის სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსი.
22. ოლევ იაანის ძე თია — ესტონეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

23. აუგუსტ ტინისის ძე საარემიავი — ესტონეთის სსრ ეურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკური გაზეთ „რახვა ხიაელის“ რედაქტორი.

24. ურვე კარლ-პაინრიჩ ანდრიას ასული ტაუტს-რაულმიავ — ესტონეთის სსრ დამსახურებული არტისტი.

25. კარლ აუგუსტის ძე ტიურვი — ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

26. ოლაფ იაკობის ძე უტი — ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე.

27. ერიკარნე უუსტალუ — ესტონეთის სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ძოვენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ჭ. კვარაძე.

თბილისი, 1971 წლის 4 ნოემბერი.

პრეზიდულება საქართველოს სსრ უმაღლესი საგმოს პრეზიდიუმისა

188 პრეზიდორ პ. ჭ. ურცევანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საგმოს პრეზიდიუმის
საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგალით დაჯილდოვების უმსახურებელი

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდათ წელთან დაკავშირებით, თბილისის შრომის წითელი დროშის თრდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი ბორის ზაქარიას ძე ფურცხვანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ძოვენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ჭ. კვარაძე.
თბილისი, 1971 წლის 18 ნოემბერი.

ଦିନପାତ୍ରରେ କଣ୍ଠରୁକ୍ଷାଙ୍କ ପାଇଁ ଦିନପାତ୍ରରେ କଣ୍ଠରୁକ୍ଷାଙ୍କ ପାଇଁ

189 ბახ. პ. ხ. ასათუროვას საქართველოს სამ განათლები საბაონის პრეზიდიუმის საპატიო ციფრული დაკვირვებულის უსახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბა-
დების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენ-
ტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განვითარების
ინსტრუქტორი ამ. ამის ხაზატურის პული ახატუროვა დაჭილდოვდეს საქარ-
თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო ხილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქორენიშვი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი %. კვაშაძი.

ଓଡ଼ିଆ, 1971 ଫୁଲାଙ୍କ 23 ନଗମିତ୍ରରେ.

ରନ୍ଧାରେତୁଳ୍ଲାହର ଶ୍ରୀମତୀରେଣ୍ଟିଙ୍ଗୁଷ୍ଠ ସାର ଶ୍ରୀମତୀରେଣ୍ଟିଙ୍ଗୁଷ୍ଠ କାନ୍ଦିଲ୍ଲାହର ଶ୍ରୀମତୀରେଣ୍ଟିଙ୍ଗୁଷ୍ଠ

190 ପ୍ରେସ ୧. ୩. ଗନ୍ଧାରାରେଣ୍ଡିସ ଦ୍ୱାରାକରତାଯିଲୁଗୁ କାଳ ପ୍ରାଚୀଲ୍ୟରେ ଦ୍ୱାରାକରି କରେଥିଲୁଗୁ କାଳାତିକା ଦେଖାଇଲୁଗୁ ଏହାଜୀବିଷୟରେ ଆବଶ୍ୟକ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში დამსახურები-
სათვის, დაბადების ორმოცდათ წელთან დაკავშირებით პოეტი ვახტანგ პეტრე-
ძე გორგანელი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზა-
ლიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქორინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდინარი %. კჩაპატი.

თბილისი, 1971 წლის 23 ნოემბერი.

ପରିପାଳନକୁଳେରା ଦ୍ୱାରା ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପାଇଁ ମହାଶୂନ୍ୟ ପାଇଁ ଆଜିକାରି ଏକ ଉତ୍ସବ ହେଲା ।

191 ମାଟେ, ଜ. ଏ. ମାରଗାଲ୍‌ଫିଲ୍ଡର୍ ସାହାରିତାକୁ ପାଇଲାନ୍ ଶର ଶରାଳ୍‌ଲେଟ୍ ସାଥକିମ୍‌
ପରେଖିଲ୍‌ମାର୍କ୍‌ର ସାହାରିତା କରିବାକୁ ଦେଇଲ୍‌ମାର୍କ୍‌ର ପାଇଲାନ୍ ଶରାଳ୍‌ଲେଟ୍ ପାଇଲାନ୍ ଶରାଳ୍‌ଲେଟ୍

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი მს. ღიმიტრი ერმილეს ქ მარგალიტაძე დაგილდოვანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქორინიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი %. პვეშაპე.

თბილისი, 1971 წლის 23 ნოემბერი.

პრესანიგულება საშაროვილოს სსრ უმაღლესი საგზოს პოპულარულობა

192 3600000000 6. 3. 500000000 საკართველოს სსრ შეაღლეს დაგჭირ
პრეზიდენტის საპატიო სიგვალით დაკილცობის უმსახიშ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი სალომე პეტრეს ასული ყიფიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოლიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი ხაბუნის პრეზიდიუმის მდივანი ჭ. პვერაშვილი.

თბილისი, 1971 წლის 23 ნოემბერი.

განცოვილება მესამე

საქართველოს სსრ უნაღლები საგვრავი მუდმივ კომისიები

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განხრა-
სულებათა მუდმივი კომისიის სხდომა.

საქართველოს სსრ შრომა-განწორების კოდექსის პროექტის შესახებ მოხსენება გააუთა ჩესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ვ. ი. მაისურაძემ. კომისიამ მოიწონა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი შრომა-განწორების კოდექსის პროექტი და გათვალისწინა კომისიის წევრების, ცალკეული უშეცებებისა და ორგანიზაციების შენიშვნები, დააღინა განსახილებად წარუდგინოს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის.

საქართველოს სსრ ქორწინების და ოჯახის კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრატიციის შესახებ მოხსენება გააკეთა კომისიის წევრმა, დეპუტატმა ი. ნ. ელოშვილმა, განხილულ საკითხზე კომისიმ ღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები ძირითადად სწორად იყენებენ ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის ახალ დებულებებს. პრატიციულად პოვა გამოყენება დაუქორწინებელი შშობლებისაგან ბავშვების მამობის დადგენის წესმა. ამასთან უმეტეს შემთხვევაში მამობის დადგენა ხდება ნებაყოფლობით, შშობლების მიერ მმაჩის ორგანოებში შეტანილ განცხადებათა საფუძველზე. 1968 წლის ოქტომბრიდან 1971 წლის პრილამდე ნებაყოფლობით გაატარეს რევისტრაციაში 8.701 ბავშვის მამა, სასამართლოს გადაწყვეტილებით კი 343 ბავშვის მამა. მმაჩის ორგანოებში განქორწინების იმ ახალი წესის გამოყენების შედეგად, რომელსაც მიმართავენ, როცა აზ აზის დავა და აზებობს გარკვეული პირობები, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სახალხო სასამართლოებში განხილულია ოცი პროცენტით ნაკლები განქორწინების საქმე.

ამასთანავე კომისიამ აღნიშნა, რომ ქორწინების და ოჯახის კანონმდებლების განხორციელების საქმეში რესაუბლივის სასამართლო ორგანოებს ჭერიდევ აქვთ მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

განქორწინების საქმეების განხილვისას სასამართლოებს (ქალაქი, რუსთავი, სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონები, ქალაქ თბილისის ორგანიზიდის რაიონი და სხვ.) ხშირად გამოაქვთ დასუსაბუთებელი გადაწყვეტილებანი სარჩელების დაქმაყოფილების შესახებ, ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ ორივე მხარის დაწრებას და იშვიათად იყენებენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მეუღლეთა შესარიგებლად. არის არაგანსჯადი საქმეების წარმოებაში მიღებისა და განხილვის ფაქტები, სასამართლოები ხშირად არ ასრულებენ ალიმენტების ოდენობის განსაზღვრის მოვალეობას იმ შემთხვევებში, როცა განქორწინებული მეუღლენი არ შეთანხმებულან, თუ ვის რჩება ბავშვი აღსაზრდელად და რა რაოდენობით უნდა გადაიხადოს ბავშვის შენახვის ხარჯები.

ალიმენტების გადახდევინების შესახებ საქმეთა განხილვისას სასამართლოები ყოველთვის როდი უზრუნველყოფენ სარჩელების დამაღალსტურებელი შესაბმისი დოკუმენტების შეგროვებას და გამოაქვთ გადაწყვეტილებანი მხოლოდ მოსახლის განცხადების საფუძველზე; ამასთან საქმის დიდი ნაწილი განიხილება, როცა არ ესწრება მოპასუხება.

არსებითი დარღვევებია მამობის დადგენის საქმეებში.

კომისიამ ურჩია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პერიოდულად განაზოგადონ ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთომო მამობის დადგენის, განქორწინებისა და ბავშვების შესანახი სახსრების გადახდევინების წესის დაცვას; გაამახვილონ სახალხო სასამართლოების ყურადღება, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოიყენონ შეუღლეთა შერიგების კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი განქორწინების საქმის განხილვისას; სასამართლოს მუშაკებმა ღრმად შეისწავლონ და პრაქტიკულად სწორად გამოიყენონ ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის ახალი დებულებანი; განახორციელონ მოსახლეობაში ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის განმარტებისათვის მუშაობის გაფართოების ქმედითი ღონისძიებანი.

შერომელთა დებულტების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკუპებს კომისიამ ურჩია უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის განხორციელებას, საქართველოს სსრ პროკურატურას კი, გააძლიეროს ზედამხედველობა მისი ზუსტად დაცვისადმი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო და სისტლის სამართლის კოდექსებში ცვლილებათა შეტანის შესახებ კომისიას მოახსენეს კომისიის წევრებმა, დებულტებმა გ. გ. წერეთალმა და დ. კ. ჭიდელავამ. ამ საკითხებზე კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კომისიის მიერ განხილულ საკითხებზე მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ს. კვარაცხელიამ, სა-

ଜ୍ଞାନତତ୍ତ୍ଵରେଣୁଳେ ସିରି ଜ୍ଞାନକର୍ତ୍ତରଙ୍କୁଳବୀଳିବିଦୀରେ ଲାଗୁଯିବି ମିନିସିଟ୍ରିମା ଓ. ଗ. ଡାକ୍ଷିଣାଧିଶ୍ଵରିଲମ୍ବା, ଓ. ଚ. ପାନ୍ଦିତନାଥଙ୍କୁଳବୀଳିଲେ ସିରି ଉତ୍ତମାଲ୍ଲେଶି ଶାଶ୍ଵତାରତନ୍ତ୍ରରେ ତାତ୍ତ୍ଵକ୍ଷଫନମାରୀରୀ ପିଠିରୁଗ୍ରେଲମ୍ବା ମରାଦ୍ଵାରା ଲୋପ ହେବ ତ. ଗ. ମାତ୍ରାଶ୍ଵରିଲମ୍ବା, ଶାକ୍ତାତତ୍ତ୍ଵରେଣୁଳେ ସିରି ଉତ୍ତମାଲ୍ଲେଶି ଶାଶ୍ଵତାରତନ୍ତ୍ରରେ ତାତ୍ତ୍ଵକ୍ଷଫନମାରୀରୀ ମରାଦ୍ଵାରା ଲୋପ ହେବ ଗ. କ. ନାନ୍ଦାଶ୍ଵରି, ଶାକ୍ତାତତ୍ତ୍ଵରେଣୁଳେ ସିରି ଉତ୍ତମାଲ୍ଲେଶି ଶାଶ୍ଵତାରତନ୍ତ୍ରରେ ତାତ୍ତ୍ଵକ୍ଷଫନମାରୀରୀ ମରାଦ୍ଵାରା ଲୋପ ହେବ କରୁଥିଲୁମିବି ଉତ୍ତମାଲ୍ଲେ ଗନ୍ଧୁମାତ୍ରାକ୍ଷଫନିଲୁମିବି ଗନ୍ଧୁମାତ୍ରାକ୍ଷଫନିଲୁମିବି କରୁଥିଲୁମିବି, ଶାକ୍ତାତତ୍ତ୍ଵରେଣୁଳେ ସିରି ଉତ୍ତମାଲ୍ଲେଶି ଶାଶ୍ଵତାରତନ୍ତ୍ରରେ ତାତ୍ତ୍ଵକ୍ଷଫନମାରୀରୀ ମରାଦ୍ଵାରା ଲୋପ ହେବ ଗ. କ. ନାନ୍ଦାଶ୍ଵରିନାମା, ଶାକ୍ତାତତ୍ତ୍ଵରେଣୁଳେ ସିରି ଉତ୍ତମାଲ୍ଲେଶି ଶାଶ୍ଵତାରତନ୍ତ୍ରରେ ତାତ୍ତ୍ଵକ୍ଷଫନମାରୀରୀ ମରାଦ୍ଵାରା ଲୋପ ହେବ ଗ. କ. ଲୁମନ୍ଦିନୀରୀ.

კომიტეტის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ შ.ი. ჭანუ-
ყავაძემ.

გამოსწორებულის სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ კ. ლორთქიფანიძის მოხსენება ჩესპუბლიკის სასოფლო ბიბლიოთეკების შუშაობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მაღლდა სასოფლო ბიბლიოთეკების როლი სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში.

სასოფლო ბიბლიოთეკებშია აქტუარი მონაცემება მიიღეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ბიბლიოთეკების სრულიად საკაშირო დათვალიერებაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის ნაწევარი საკუთხის იუბილეს და საქართველოს კომკავშირის შექმნის 50 წლისთავის მომზადებასა და ჩატარებაში. ბიბლიოთეკებში დაინერგა მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, გაუმჯობესდა წიგნის ფონდების დაკომპლექტება, გაიზარდა მკითხველთა და გაცემული წიგნების რაოდენობა. მარტი 1970 წელს სასოფლო ბიბლიოთეკები 1 მილიონზე მეტ ჟურნალს მოემსახურა და გასცა 14 მილიონამდე წიგნი.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ რიგი რაიონების სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც. ქარელის, წალკის, ოჩამჩირის, ჯავისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკების მნიშვნელოვანი ნაწილი ერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას წიგნებზე.

ბევრ რაიონში ჭერ კიდევ სუსტია ბიბლიოთეკების მატერიალური გაზა. ზოგიერთ სასოფლო ბიბლიოთეკას აკლა ინვენტარი. აუთივისძელი რჩება წიგნის შესაძნად გამოყოფილი თანხები (ხაშურის, მაიკოვსკის, ღმანისის რაიონები), ბიბლიოლექტრონი უკრ აქმაყფილებს სასოფლო ბიბლიოთეკების მოთხოვნას წიგნზე. „საქწიგნი“ კი, რომელთანაც შედის ბიბლიოლექტრონი, არ ზრუნვას იმისათვის, რომ საქმაო რაოდენობით გამოუყოს ახალი ლიტერატურა სასოფლო ბიბლიოთეკებს.

ჭერ კიდევ დიდია იმ დასახლებული პუნქტების რიცხვი (ონის, ქარელის, ჭავის, დუშეთის, საგარეჯოს, ოჩიამჩირის და სხვა რაიონებში), რომლებიც უბი-ბლიოთეკოდ არიან დარჩენილი.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი ნაკლებ ყურადღებას უთმობს სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობას, არ ზრუნავს მათი მატერიალური პაზის

გაუმჯობესებისა და კვალიფიცირებული კადრებით დაყომისლებრებისაზე შესახსრების შესახვალი რიგ შემთხვევაში სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის მიცემულ შტატებს არაღანიშნულებისამებრ იყენებენ.

განხილული საკითხის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები 6. ჩაგუნავა, რ. ლალიძე, ა. შანიძე, დ. ალექსიძე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სამსახურის უფროსი ა. კალანდარიშვილი. კაპიტ. ცხინვალის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარები გ. გოგიაშვილი და გ. ბესავევი, საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე. ა. სინჭიაშვილი, ზიბლკოლექტორის დირექტორი დ. ჭაბუა.

კომისიის მუშაობა შეაფარა მისმა თავმცდომარე დეპუტატმა ს. რიგვავამ. განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგნილება.

Ից է պահպանվության մեջ գտնվող սահմանադրությունը՝ ուղարկված է ՀՀ օրենսդրության մեջ և այս օրենսդրության մեջ առաջին անգամ պահպանվության մեջ գտնվությունը համարվում է պահպանվության մեջ գտնվող սահմանադրությունը։ Այս օրենսդրության մեջ պահպանվության մեջ գտնվող սահմանադրությունը համարվում է պահպանվության մեջ գտնվող սահմանադրությունը։

დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დეპუტატი ე. ჯაფარიძე. მან თქვა, რომ მეცხრე ხუთწლედში საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი აღმევლობის, ძირითადი შიმართულება იქნება კვლავ სახალხო მეურნეობის ისეთი დარგების სწრაფად განვითარება, როგორიც არის ენერგეტიკა, ქიმია, ფერადი მეტალურგია, ხელსაწყოობრივი მშენებლობა, ელექტრონური და ჩარჩმუნებლობა. სწორედ ისინი განსაზღვრავთ ტექნიკურ პროგრესს. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების გეგმა ითვალისწინებს მთელი პრეცენტის პროცენტურის გადიდებას წინა ხუთწლედთან შედარებით 44 პროცენტით ხაცვლად დირექტივებით გათვალისწინებული 39—42 პროცენტისა, სოფლის მეურნეობის საერთო პროცენტურის გადიდებას 22,4 პროცენტით საერთო საზოგადოებრივი კვების სავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის ზრდას 63 პროცენტით. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის გათვალისწინებით უნდა გაიზარდოს

52,7 პროცენტით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა შოცულობა — 2,1-ჯერ, აქედან სოფლად — 2,8-ჯერ.

სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია შესრულდეს ენერგომშენებლობის ფართო პროგრამა, ყველა ელექტროსადგურმა გამოიმუშაოს 1975 წელს 15,5 მილიარდი კილოვატი საათი ელექტროენერგია, რაც 1970 წელთან შედარებით შეადგენს ზრდას 1,7-ჯერ, ეს სავსებით შეესაბამება დირექტივებით გათვალისწინებულ დონეს.

მნიშვნელოვნად გაიზრდება გაზის ხელდროითი წონა ყველა სახეობის სა- თბობის საერთო მოხმარებაში.

მომსენებლებმა დაწერილებით ილაპარაკა ყველა ახალშენებასა და საწარ- შოზე, რომლებიც მიმდინარე ხუთწლედში უნდა ჩადგეს მწყობრში. ეს არის ტყიბულის ახალი შახტები, ჭიათურის ახალი მაღაროები და კარიერები, მად- ხეულის სამთოგამამდიდრებელი კომპინატი და სხვ.

მნიშვნელოვანი აღვილი დაეთმო რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწ- ველობის განვითარებას, მსუბუქი მრეწველობა უზრუნველყოფს პროდუქ- ციის გამოშვების ზრდას 1975 წელს ერთ-ნახევარჯერ 1970 წელთან შედარე- ბით. სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების ზრდის საფუძველზე კვების მრეწველობის საერთო პროდუქცია მეცხრე ხუთწლედში გაიზლება 25 პროცენტით და შეადგენს 2.070 მილიონ მანეთს. კაპიტალუ- რი დაბანდება კვების მრეწველობის ხაზით გათვალისწინებულია 202,5 მილი- ინი მანეთი, ანუ 27 პროცენტით მეტი.

მეცხრე ხუთწლედში უპირატესად განვითარდება რძისა და ხორცის წარ- შოება, ძირითადად ფრინველის ხორცის ხარჯზე. ეს შესაძლებელი განხდება ახალი მეფრინელების ფაბრიკების ამუშავების მეოხებით. კაპიტალური და- ბანდება ხორცისა და რძის მრეწველობის განვითარებისათვის 75 პროცენტით გაიზრდება.

დირექტივების შესაბამისად უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება რესპუ- ბლიკური დაცვემდებარების მრეწველობა. მისი პროდუქციის მოცულობა გაიზ- რდება 55 პროცენტით, აქედან აღვილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 73,4 პროცენტით.

მომსენებელი დაწერილებით შეეხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის გეგმის პროექტს. მან აღნიშნა, რომ ყველა გეგმა რეალურია და, თუ ვიმსჯელებთ ტემპის მიხედვით, რომელიც საქართველოს მშრომელებმა აიღეს 1971 წელს, 1972 წლის გეგმები წარმატებით შესრულდება.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ა. ჭირაქაძემ.

მომსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მრეწველობის მშრომელებმა გადწყვიტეს 25 დეკემბრისათვის შესრულონ პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა და პირნათლ გაანალიზონ თავიანთი ვალდებულებანი. მაგალი- თად, ათი თვეს გეგმა განალებულია უკვე 25 ოქტომბრისათვის, გეგმის გადა- შეტიბით გამოშვებულია ათეულ მილიონობით მანეთის საქონელი. მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოო კომპლექსები და სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-

Сааме ўзрэнне, კომітэнтлური, კულტуралулю და საყოფაცხოვრებო დანიშნულების
დიდმინიშნენнелოვანი ობიექტები.

მიმდინარე წელს შესრულდება ბიუჯეტის თითქმის ყველა საშემოსავლო
რეალი ერთგვარი შემცირების მიუხედავად, ყორ ისევ დიდია სასაქონლო-მატე-
რიალურ ღირებულებათა ზენორმატიული მარაგი. 1 ივლისისათვის მარა ნაშთი
შეადგენდა 34 მილიონ მანეთს, რაც შეესაბამება მთელი მარაგის 3,4 პროცენტს.

→ მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაპიტალური მშენებლობა. მშენებლობის გეგ-
შების შეუსრულებლობის შედევად სისტემატურად ვირ სრულდება მთლიანად
ბიუჯეტის დაგროვებისა და გადასახდელების გეგმა.

მაგრამ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ვარაუდით შემოსავლის
მთელი გეგმა მიმდინარე წელს შესრულდება 1.498 მილიონი მანეთის ოდენო-
ბით, რაც გეგმის 103,8 პროცენტს შეადგენს.

რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი გათვალისწინებულია
1.496 მილიონი მანეთის ოდენობით, აქედან სახალხო მეურნეობის დაფინანსე-
ბა — 670,5 მილიონი მანეთი, ხოლო სოციალურ-კულტურული ღონისძიებე-
ბისა — 761,6 მილიონი მანეთი.

1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი შედგენილია საქართველოს
სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის მაჩვენებლების შესაბამისად.
შემოსავალი და გასავალი განსაზღვრულია აფხაზეთის ასსრ, ავარიის ასსრ, სამ-
ხრეთ საქართველოს ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების
პროექტების, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა ფინანსური გეგმების, ხარ-
ჯთაღრიცხვისა და გაანგარიშების საფუძველზე, ბიუჯეტის პროექტი 1.463,5 მი-
ლიონი მანეთი საერთო ოდენობით 1971 წლის ბიუჯეტთან შედარებით იძლევა
117,6 მილიონ მანეთ ზრდას, ანუ 8,7 პროცენტს.

ისევ როგორც წარსულ წლებში, ბიუჯეტის ძირითადი წყაროა სოციალუ-
რი დაგროვების შემოსავალი, კერძოდ ბრუნვის გადასახადის ანარიცხები ზო-
უჯეტის მთელი შემოსავლის 45,7 პროცენტს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს
და უპირატესობას ანჭებს პროგრესულ დარგებს. 1972 წლის სოციალურ
კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების ხარჯები განსაზღვრულია 787,4 მი-
ლიონი მანეთით მეტი, ეიდრე 1971 წელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდო-
მაზე გამოიყო დაზოგაბრივი ქვეკომისიერი, რომელმაც უნდა იმუშაონ გეგმის
სრულყოფაზე. ქვეკომისიათა თავმჯდომარებებად დამტკიცებული არიან დეპუ-
ტატები ნ. ბერიძე, პ. ულენტი, ს. რიგვავა და ზ. ჩხეიძე.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსა-
ნურების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ
შოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის ფ. დუმბაძის მოხ-
სენება რესპუბლიკის მთიან რაიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომ-
სახურების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების აღგაცემისთვის
რამდენიმე საბჭოებმა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაგანო-
ებმა ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა გასწიეს. ბორჯომის, ბოგდანოვ-
კის, თეთრიშვილის, ქედის, ახმეტის, ახალქალაქის რაიონებში გაიხსნა საყო-
ფაცხოვრებო დანიშნულების ახალი ობიექტები (კომბინატები, სახელოსნოები,
აბანოები და სხვ.). საყოფაცხოვრებო მომსახურების ცხრა თვის გეგმები შეს-
რულდა თითქმის ყველა შემოწმებულ რაიონში. გაუმჯობესდა საყოფაცხოვრე-
ბო მომსახურების ობიექტების კანონებით დაკომისიერების საქმე, სისტემატუ-
რად ეწყობა სპეციალისტების მომზადება-გადამზადება.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს უკეთ ამარავებენ ნედლეუ-
ლით, მოშყობილობით, შენობებით; მეტი ყურადღება ეთმობა რეკლამას. აღგი-
ლობრივი საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე რეგულარულად
იხილება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაკავშირებული
საკითხები.

მაგრამ ამასთან ერთად სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მთელი
რიგი ნაკლოვანებანია რესპუბლიკის მთიანი რაიონების მოსახლეობის საყოფა-
ცხოვრებო მომსახურების საქმეში. არ სრულდება სხვადასხვა სახეობის მომ-
სახურების გეგმები (წალკის, ამბროლაურის, ონის, ქედის, ლენტების, ცაგრის,
ჯვისა და ბორჯომის რაიონები).

გეგმების შესრულებაზე უარყოფით გავლენას ანდენს საყოფაცხოვრებო
ობიექტების მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი.

ბოგდანოვკის, ონის, ამბროლაურისა და თეთრიშვიარის რაიონებმა ვერ
შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურ-
ნეობების მონაწილეობით საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის დარ-
გში.

შემოწმებულ რაიონებში არის სოფლები, სადაც საყოფაცხოვრებო დანიშ-
ნულების არც ერთი ობიექტი არა აქვთ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივ კომისის წევრები, დეპუ-
ტატები ა. შალური, მ. კრაწაშვილი, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახმეტის,
თეთრიშვიარის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომთა
თავმჯდომარები ნ. შარაბიძე, უ. კაზარიანი, გ. დოინგაშვილი, ე. ელბაძიძე,
ონის, წალკის, ბოგდანოვკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების
აღმასკომთა თავმჯდომარების მოაღილეები ვ. ჯაფარიძე, მ. პორფიროვი,
შ. ლორეციანი და სხვები.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა
ნ. უვანიამ.



გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საქონი ჯანმრთელობის დაცვის,
ფიზიკური კულტურისა და ხოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის
სხდომა, რომელმაც მოისმინა მისი თავმჯდომრის დეპუტატ პ. გელბახიანის

მოხსენება ქალაქების ბათუმის, ქუთაისისა და ახალქალაქის, აღიგენის, ტუშე-თის, ბოგდანოვკის, ჯავის, ცაგერისა და წყალტუბოს რაიონების სანიტარიული შდგომარეობის შესახებ .

როგორც კომისიაზე აღინიშნა, განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შეიძლოვნად გაუმჯობესდა ამ ქალაქებისა და რაიონების სანიტარიული მდგომარეობა. მეტი ყურადღება ეთმობა ქუჩებისა და ეზოების დასუფთავებას, საზოგადოებრივი თავშეყრის აღგილებში, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში სანიტარიული წესების დაცვას.

დაიწყო ქალაქ ბათუმის წყალსადენის ქსელის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები, ნიაღვარისადენის მშენებლობა და სხვ.

მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა წყალტუბოს ახალი წყალსადენი, რაც შთლიანად უზრუნველყოფს კურორტის მოთხოვნილებას სასმელ წყალზე.

მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების აღმასკომები პერიოდულად სწავლობრივ და იხილვენ სანიტარიული მდგომარეობის საკითხებს. სახავენ საჭირო ღონისძიებებს სანიმუშო სანიტარიული წესრიგის დასამყარებლად.

მაგრამ კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების სანიტარიული წესრიგის დაცვაში ნაკლოვანებანია.

ახალქალაქის, აღიგენის, ბოგდანოვკის, დუშეთის, ცაგერისა და წყალტუბოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ არსებული წყალსადენების ექსპლოატაციისა და კეთილმოწყობის საქმეს .

შემოწმებულ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ნაკლოვანებანია დასახლებული აღგილების ტერიტორიების დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნაგვის დროული გატანის, ნავესაყრელი აღგილების, კეთილმოწყობის, დამგველთა შტატის დაკომპლექტების, ნაგავსაზიდი და სასენიზაციო ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფის საქმეში.

ზოგიერთ ინდივიდუალურ სახლმფლობელს არა აქვს დადებული ხელშეკრულება ნაგვის გატანის თაობაზე, რის გამოც ნაგავი აღგილზე გროვდება ან იყრება ქუჩებში.

ზოგიერთ საზოგადოებრივი კვების საწარმოსა და სასურსათო მაღაზიას ჭურჭლის გასარეცხად არა აქვს ცხელი წყალი, სპეციანიტარიული ტანსაცმელი, პირადი ჰიგიენის საგნები და სხვ. ამასთან განმრთელობის დაცვის აღგილობრივი ორგანოები სათანადო კონტროლს არ უწევენ ამ ობიექტებში სანიტარიული წესების დაცვას, არ იყენებენ მინიჭებულ აღმინისტრაციულ სანქციებს სანიტარიული წესების დამრღვევთა მიმართ.

ჭიათურაში სამუშაო-ფეკალური და სამრეწველო ნახმარი წყლების გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობა.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სანიტარიული წესრიგის სანიმუშოდ დამყარების საქმეში საკმარისად არ აპარენ დეპუტატებს, მუდმივ კომისიებისა და აქტივს.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, ჭრილობის პუტატები ბ. კუჩიანიძე, ტ. ცურუბა, თ. მაისურაძე, *საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი ნ. არონიშვილე, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოს უფროსი ვ. ბალაშვილი, ახალქალაქისა და დუშეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარები უ. კაზარიანი, ა. ახობაძე და სხვები.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო დადგენილება.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სა-ბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

საინფორმაციო ცენტრი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა დ „დედობის მედლით“ დაჯილდოვა 355 მრავალშვილიანი დედა, მთ შორის: